

შავი ზღვის აუზის 2014 – 2020 წწ. ერთობლივი საოპერაციო პროგრამა

TIMMOD



ტექნოლოგიური ინოვაციების ხელშეწყობა გარემოს
მონიტორინგსა და მოდელირებაში თევზის მარაგებისა და
არათევზეული რესურსების შესაფასებლად

ინოვაციები რომელიც ჩვენ გვჭირდება, შავი ზღვისთვის რომელიც ჩვენ გვინდა!

კოლაბორაციის ერთი წელი (მაისი 2020 – მაისი 2021)

საერთო საზღვრები. საერთო გადაწყვეტილებები.



პროექტის პარტნიორობა



თევზის რესურსების ინსტიტუტი
IFR, ბულგარეთი
www.ifrvarna.com



შავი ზღვის-დუნაის კვლევითი და
განვითარების ასოციაცია
BDCA, ბულგარეთი
www.bdcabg.org



სალონიკის არისტოტელეს უნივერსიტეტი
AUTH, საბერძნეთი
www.auth.gr



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
NEA, საქართველო
www.nea.gov.ge



რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი -
მოლდოვა
RECM, მოლდოვა
www.rec.md



დუნაის დელტას
ეროვნული ინსტიტუტი
DDNI, რუმინეთი
www.ddni.ro



TIMMOD-ის შინაარსი

TIMMOD - ტექნოლოგიური ინოვაციების ხელშეწყობა გარემოს მონიტორინგსა და მოდელირებაში თევზის მარაგებისა და არათევზეული რესურსების შესაფასებლად არის ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი, რომელიც დაფინანსებულია შავი ზღვის აუზის 2014 – 2020 წწ. ერთობლივი საოპერაციო პროგრამის პრიორიტეტი 2. გარემოს დაცვის კოორდინაციის ხელშეწყობის და შავი ზღვის აუზში საზღვაო ნარჩენების ერთობლივი შემცირების მიზანი 2.1. ერთობლივი გარემოსდაცვითი მონიტორინგის გაუმჯობესების ფარგლებში.

პროექტის ძირითადი მიზნებია:

- ✓ გარემოს ერთობლივი მონიტორინგისა და მოდელირების გაუმჯობესება, ტექნოლოგიური ინოვაციების ხელშეწყობით;
- ✓ მონაცემთა ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გასაუმჯობესებლად, წყლის ხარისხის, ბიომრავალფეროვნების სტატისტიკის მონაცემთა გაზიარებაში თანამშრომლობა;
- ✓ თევზისა და არათევზეული რესურსების შეფასება შავ ზღვაში - ევროკავშირის საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო დირექტივის, მონაცემთა შეგროვების დირექტივის, ლურჯი ზრდის სტრატეგიის, გარემოს დაცვის შესახებ შავი ზღვის კონვენციის და სხვა EU და რეგიონალური პოლიტიკის და კონვენციების შესაბამისად

TIMMOD პროექტი აერთიანებს ექვსი პარტნიორი ორგანიზაციის ძალისხმევას, რომლებიც მიზნად ისახავს ტექნოლოგიური ინოვაციებისა და ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის გაუმჯობესებას შავ ზღვაში გარემოსდაცვითი მონიტორინგის მიმართულებით:

- ✓ თევზის რესურსების ინსტიტუტი (IFR), ბულგარეთი
- ✓ შავი ზღვის-დუნაის კვლევითი და განვითარების ასოციაცია (BDCA), ბულგარეთი
- ✓ სალონიკის არისტოტელეს უნივერსიტეტი (AUTH), საბერძნეთი
- ✓ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო (NEA), საქართველო
- ✓ რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი - მოლდოვა (RECM), მოლდოვა
- ✓ დუნაის დელტას ეროვნული ინსტიტუტი (DDNI), რუმინეთი

პროექტი **TIMMOD**-ის ძირითადი სამიზნე ჯგუფებია:

- ✓ ეროვნული სახელმწიფო ორგანოები და საერთაშორისო ორგანიზაციები;
- ✓ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები;
- ✓ დარგობრივი სააგენტოები;
- ✓ დაინტერესთა ჯგუფები, არასამთავრობო ორგანიზაციების ჩათვლით;
- ✓ უმაღლესი განათლებისა და კვლევის დაწესებულებები.



სპეციფიკური მიზნები და ძირითადი საკმთანობები

პროექტის კონკრეტული მიზნებია:


სმ1. პროექტის პარტნიორი ორგანიზაციების (და სხვა დაინტერესებული მხარეების) გაძლიერებული შესაძლებლობების მიღწევა, წყლის ხარისხის პარამეტრებისთვის, თევზების და არათევზიანი ცოცხალი რესურსებისთვის სანდო და თავსებადი გარემოსდაცვითი მონაცემების უზრუნველყოფა, გამოყენება და გაზიარება. სმ1 მიიღწევა ტექნოლოგიური ინოვაციების (სამომავლო და უახლესი ტექნოლოგიები) დეტალური ინვენტარიზაციით, და ასევე საპილოტე სადემონსტრაციო პროექტებში (ბულგარეთისა და საქართველოს მახლობლად მდებარე ზღვის სივრცეში) დატესტილი და დემონსტრირებული საუკეთესო პრაქტიკების განხილვით.

სმ2. ICT-ის საერთო ინსტრუმენტების ნაკრების შექმნით უკეთესი თანამშრომლობის მიღწევა და გარემოსდაცვითი მონაცემთა გაზიარების გაუმჯობესება შავი ზღვის პარტნიორებს შორის სმ2. მიღწეული იქნება საზღვაო გარემოსდაცვითი მონაცემთა დამუშავებისა და რიცხვითი მოდელირებისთვის განკუთვნილი ICT ინსტრუმენტების კომპლექსური ანალიზით, მათ შორის ჰიდროდინამიკური მოდელირების მაღალ დონეზე განხორციელებით და საპილოტე სადემონსტრაციო მონიტორინგის და მოდელირების მონაცემთა გაზიარების პლატფორმაში (MMDSP) web-ზე დაფუძნებული მონაცემთა ინსტრუმენტების განვითარებით.

სმ3. დღის წესრიგში დადგება ინოვაციური სტრატეგია, რომელიც შექმნილია რეგულაციების და ნებართვების (ეროვნული, რეგიონალური, ევროკავშირის) გაერთიანებისთვის, მათ შორის ახალ მონიტორინგთან და ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან, გამკვირვალობასთან და ინოვაციების ხელშეწყობასთან ერთად. ინოვაციური სტრატეგია მიზნად ისახავს საპროექტო შედეგების მასშტაბის ზრდას შავი ზღვის ყველა რეგიონში მომდევნო წლებში - სწრაფი ტექნოლოგიური ზრდის შესაბამისად - ისე, რომ "ერთობლივი გარემოსდაცვითი მონიტორინგის გასაუმჯობესებლად" უზრუნველყოფილ იქნას პროექტის შედეგების მდგრადობა.

ძირითადი საკმთანობა ჯგუფდება ოთხ თემად:


- ✓ თევზის მარაგისა და არათევზიანი რესურსების შეფასების ინოვაციური გარემოს მონიტორინგის ტექნოლოგიების ინვენტარიზაცია და პოპულარიზაცია.
- ✓ შავი ზღვის საზღვაო პირობების მონაცემთა დამუშავების, რეალურ დროში კონტროლისა და პროგნოზირების მოწინავე ჰიდროეკოლოგიური რიცხვითი ინსტრუმენტების შეფასება და რეკომენდაციების გაცემა.
- ✓ საპილოტე პროექტი ინოვაციური მონიტორინგის შესახებ, მოწინავე მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით.
- ✓ ინოვაციური სტრატეგია ერთობლივი მონიტორინგის, მონაცემთა გაზიარების და ინფორმაციის ტრანსსაზღვრო გაცვლის სისტემის გასაუმჯობესებლად საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო დირექტივისა და მონაცემთა შეგროვების ჩარჩოს შესაბამისად მეთევზეობისთვის.



თანამშრომლობის 1 წელი (მაისი 2020-მაისი 2021)

პროექტი დაიწყო 2020 წლის მაისში, ხოლო მალევე, 2020 წლის 11 ივნისს, ღია ონლაინ ღონისძიების სახით, წამყვანი ბენეფიციარის - თევზის რესურსების ინსტიტუტის ორგანიზებით, ვარნაში, ბულგარეთი შედგა ოფიციალური KICK-OFF შეხვედრა. პროექტის პარტნიორების ერთობლივი მუშაობა სამუშაო გეგმაში შეტანილი 4 ჯგუფური აქტოვობის ფარგლებში დაიწყო პროექტის პირველი დღიდან.

სამი ინფორმაციის გაზიარების ღონისძიება და სამ ციფრულ სარეკლამო კამპანიასთან ერთად, ჩატარდა 2020 წლის სექტემბერში, ვარნაში, ბულგარეთი; 2020 წლის ნოემბერში კიშინიოვში, მოლდოვა და 2021 წლის აპრილში სალონიკში, საბერძნეთი. ორი თემატური ტრანსსასაზღვრო შეხვედრა (TTM1 & TTM2) გარემოსდაცვითი მონიტორინგის ინოვაციური ტექნოლოგიებისა და საზღვაო გარემოს მონიტორინგის ინოვაციური სისტემების ერთობლივი გამოყენების საკითხებზე მოეწყო 2020 წლის ნოემბერში კიშინიოვში, მოლდოვა და 2021 წლის აპრილში, სალონიკში, საბერძნეთი. შემუშავებულია სამი მნიშვნელოვანი ტექნიკური ანგარიში.



პირველ წელს ჩატარებული საკმედიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი დაინტერესებული მხარეების აქტიური მონაწილეობა იყო. პროექტის განხორციელების პირველ წელს 30 - ზე მეტი ორგანიზაცია მონაწილეობდა შავი ზღვის ხუთი ქვეყნიდან, მათ შორის ადგილობრივი, რეგიონალური და ეროვნული ხელისუფლების წარმომადგენლები, დარგობრივი სააგენტოები, უნივერსიტეტები და კვლევითი ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები და ა.შ.



თემატური ტრანსსასაზღვრო შეხვედრები

თემატური ტრანსსასაზღვრო შეხვედრები (TTM) ორგანიზებულია TIMMOD პროექტის ქსელში, მკვლევარების, ექსპერტების და გადაწყვეტილების მიმღებთა ინფორმირებულობის ასამაღლებლად, TIMMOD პროექტის არსებითი შედეგის გათვალისწინებით, ინოვაციური სისტემების ერთობლივი გამოყენების შესახებ საზღვაო გარემოს მონიტორინგის სამსახურებში და მონაცემთა ტრანსსასაზღვრო გაცვლაში მათი ინსტიტუციების რეგიონალური თანამშრომლობის გაუმჯობესება, BSB პროგრამის მიზანი 2.1. "ტრანსსასაზღვრო თავსებადი გარემოსდაცვითი მონიტორინგის მონაცემთა და ინფორმაციის გაუმჯობესება" -ის ხელშეწყობით.

პირველი TTM-ს მასპინძლობდა REC - მოდოვა 2020 წლის ნოემბერში. COVID-19 სიტუაციის გამო, იგი ორგანიზებული იყო როგორც "ონლაინ / ჰიბრიდული" შეხვედრა - ონლაინ შეხვედრა, რომელსაც უმასპინძლეს MS TEAMS- ში და პირისპირ შეხვედრა საკონფერენციო დარბაზში. პირველ TTM-ს შავი ზღვის ექვსი ქვეყნის 50-ზე მეტი მონაწილე დაესწრო.



თევზის მარაგისა და არათევზეული რესურსების შეფასების გარემოს მონიტორინგისა და მოდელირების ინოვაციური ტექნოლოგიების მეორე TTM ორგანიზებული იყო ონლაინ ღონისძიების სახით, 2021 წლის აპრილის ბოლოს, სალონიკის არისტოტელეს უნივერსიტეტის (AUTH), საბერძნეთში. შეხვედრის ძირითადი თემა იყო შემუშავებული „თევზის მარაგისა და არათევზეული სახეობების შეფასების გარემოს მონიტორინგის ინოვაციური ტექნოლოგიების ინვენტარიზაცია“. შეხვედრას ესწრებოდა 50 მონაწილე, რომლებიც წარმოადგენდნენ პროექტის პარტნიორებს და დაინტერესებულ ორგანიზაციებს.



ტექნიკური ანგარიშები

პროექტის პირველი წლის განმავლობაში, TIMMOD პარტნიორების გუნდის მიერ დასრულებულია სამი (3) ძირითადი ტექნიკური ანგარიში (შედეგი).

ანგარიში “შავი ზღვის თევზისა და არათევზეული რესურსების მონიტორინგისა და შეფასების სიტუაციური ანალიზი და რეკომენდაციები არსებული მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენების ეფექტურობის ზრდის მიზნით” შემუშავდა შავი ზღვის რეგიონის 6 პარტნიორის ერთობლივი ძალისხმევით, ბულგარეთი, საქართველო, მოლდოვა, რუმინეთი და საბერძნეთი, პირველ რიგში ყურადღება გამახვილებულია ზემოთ აღნიშნულ ქვეყნებში შავი ზღვის ცოცხალი რესურსების მონიტორინგისა და შეფასების მდგომარეობის მახასიათებლებზე. ანგარიშის სისრულისთვის წარმოდგენილია შავი ზღვის დანარჩენი ქვეყნების - თურქეთის, რუსეთისა და უკრაინის ყველაზე ზოგადი მახასიათებლები, რომლებიც აღებულია ამ თემაზე გამოქვეყნებული მონაცემებისა და ანალიზის შედეგად. ეს ანგარიში წარმოადგენს შავი ზღვის თევზისა და არათევზეული რესურსების მონიტორინგისა და შეფასების სიტუაციურ ანალიზს, რომლის მიზანია რეკომენდაციების წარდგენა არსებული მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენების ეფექტურობის გაზრდის მიზნით.

ანგარიში „თევზის მარაგისა და არათევზეული რესურსების საზღვაო გარემოს მონიტორინგისა და შეფასების ტექნოლოგიური ინოვაციების ინვენტარიზაცია“ მიზნად ისახავს რეკომენდაციების მიწოდებას შავი ზღვის რეგიონში ეფექტური მონიტორინგის თანამედროვე ტექნოლოგიების შესაძლო გამოყენებასთან დაკავშირებით, შავი ზღვის ქვეყნებს შორის თანამშრომლობისა და მონაცემთა გაზიარების გასაუმჯობესებლად. ამ ანგარიშში მოცემული ანალიზი, დასკვნები და რეკომენდაციები, ძირითადად, განკუთვნილია შავი ზღვის თევზჭერისა და გარემოს დაცვის საკითხებში მომუშავე მკვლევარებისთვის, შემსწავლელებისთვის, გადაწყვეტილების მიმღებთათვის და შესაბამისი დაინტერესებული მხარეებისთვის, მაგრამ ამავე დროს, ამ ანგარიშში მოცემულია ღირებული ინფორმაცია, რომლის გამოყენება შეუძლიათ კერძო თუ სახელმწიფო დაწესებულებების ფართო სპექტრს, სამრეწველო კომპანიებს და ფართო საზოგადოებას.

ანგარიში “ტრანსსასაზღვრო კოორდინაციის მექანიზმების, რეგიონში არსებული ორგანიზაციული და ადამიანური რესურსების შესწავლა და მათი შესაბამისობა დაგეგმილ ტექნოლოგიურ განახლებასთან. MSFD და DCF-ის შესაბამისად დადგენილი პრიორიტეტული საკითხების იდენტიფიცირება” მოიცავს ტრანსსასაზღვრო კოორდინაციის მექანიზმების ანალიზს, ინფორმაციის ტრანსსასაზღვრო გაცვლის სისტემის ხარვეზების ანალიზს, პარტნიორ ქვეყნებსა და შავი ზღვის რეგიონში არსებულ ორგანიზაციულ და ადამიანურ რესურსებს, მთლიანობაში - ფოკუსირდება დაგეგმილ ტექნოლოგიურ განახლებთან შესაბამისობაზე. ანგარიშში განსაზღვრული იყო პრიორიტეტული საკითხები. ყურადღება გამახვილდა იმაზე, თუ როგორ დადებითად აისახება MCFD და DCF პროგრამების განხორციელებაზე შავი ზღვის აუზის მასშტაბით ტექნოლოგიური განახლება.



ცნობიერების ამაღლება. შედეგების გაზიარება

პროექტის განხორციელების კრიტიკული კომპონენტია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება. ფართო საზოგადოების ინფორმირებულობისა და საგანმანათლებლო კამპანია შავი ზღვის რესურსებზე მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს პროექტის შედეგებზე.

TIMMOD-ის პირველი ინფორმაციის გაზიარების ღონისძიება: TIMMOD-ის პროექტის ესეთი პირველი ღონისძიება გაიმართა 11 სექტემბერს ვარნაში, ბულგარეთში. ღონისძიება დააორგანიზა წამყვანმა პარტნიორმა - თევზის რესურსების ინსტიტუტი - ვარნა-მ, რომლის მიზანი იყო პროექტი TIMMOD-ის მოკლედ წარდგენას სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან. TIMMOD-ის ძირითადი მიზნები, აქტივობები და მოსალოდნელი შედეგები წარუდგინეს 20 კაციან ჯგუფს სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების ორგანიზაციებიდან.

Basin Directorate, Marine Cluster, Institute of Hydro- and Aerodynamics, etc.

შავი ზღვის რესურსების მონიტორინგისა და შეფასების თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება ერთ-ერთი ყველაზე განხილული თემა იყო.

რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი /REC Moldova/, პროექტი “ტექნოლოგიური ინოვაციების ხელშეწყობა





გარემოს მონიტორინგსა და მოდელირებაში თევზის მარაგებისა და არათევზეული რესურსების შესაფასებლად” (TIMMOD)-ის პარტნიორმა, რომელიც ხორციელდება შავი ზღვის აუზის 2014 - 2020 წწ. ერთობლივი საოპერაციო პროგრამის ფარგლებში, უმაჰსინძლა ინფორმაციის გაზიარების ღონისძიება 2020 წლის 13 ნოემბერს. ღონისძიებას ესწრებოდა 15 მონაწილე, რომლებიც დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლები იყვნენ.

წარმოდგენილი იქნა პროექტის ძირითადი მიზნები, აქტივობები და მოსალოდნელი შედეგები. თევზის მარაგისა და არათევზეული რესურსების შეფასების გარემოს მონიტორინგისა და მოდელირების



ტექნოლოგიური ინოვაციის შესახებ ნაბეჭდი ბროშურა დაურიგდა მონაწილეებს.

TIMMOD-ის მესამე ინფორმაციის გაზიარების ღონისძიება იმართება 2021 წლის მაისში, საბერძნეთის სალონიკის არისტოტელეს უნივერსიტეტის (AUTH) ორგანიზებით, რომლის ძირითადი მიზანია TIMMOD პროექტის მოკლედ წარდგენა სხვადასხვა ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების წინაშე.



ინოვაციის ტალღაზე

ახალი ტექნოლოგიები და ინოვაციური მეთოდოლოგიები ყოველთვის ცვლიდნენ ჩვენი ზღვების მონიტორინგის მეთოდებს. ბოლო წლების განმავლობაში, მონაცემთა შეგროვება და ზღვის წყლისა და ეკოსისტემების უწყვეტი მონიტორინგი განვითარდა სწრაფად და მზარდი როლით:


- ✓ დისტანციური ზონდირების ტექნოლოგიები, მათ შორის სატელიტური სურათის დამუშავება და თვითმფრინავზე დაფუძნებული ფოტო ტექნოლოგიები,
- ✓ მონაცემების ადგილზე შეგროვების მეთოდებისა და ინსტრუმენტების სწრაფი განვითარება (მაგალითად, მრავალ სხივიანი სონარი, ზღვის ფსკერის კამერა, აღებული ნიმუშის ქიმიური ანალიზი), მათ შორის სენსორის დასამაგრებელი პლატფორმა (ანუ კვლევითი გემი, სტატიკური ობსერვატორია ან უპილოტო ავტომატიზირებული სატრანსპორტო საშუალება),
- ✓ მოწინავე ICT ინსტრუმენტები მონაცემთა დამუშავებისათვის (მოდელის მონაცემები), ვიზუალიზაცია, ანალიზი და პროგნოზირება გადაწყვეტილების მიღების მხარდაჭერისთვის.



ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კატეგორია სწრაფად ვითარდება და აუცილებელია სწორი ტექნოლოგიის გამოყენება შესრულებული ამოცანისთვის, ამ ტექნოლოგიების გამოყენების შედეგების გასაგებად. TIMMOD- ის მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს ინოვაციებს გარემოს მონიტორინგში შავი ზღვის თევზის მარაგისა და არათევზეული რესურსების შესაფასებლად, რისთვისაც პარტნიორების ყველა ერთობლივი ძალისხმევა განხორციელდა პროექტის პირველი წლის განმავლობაში.

გამოწვევები დაკავშირებულია მონაცემთა გაზიარებასთან და სენსორების ინტეგრაციასთან, მათ მზარდ რაოდენობასთან და მრავალფეროვნებასთან და წარმოებული რიცხვითი მონაცემების მოცულობასთან.


ზემოთ ჩამოთვლილ კატეგორიებში ინოვაციური ტექნოლოგიების მიმოხილვა მოცემულია მოხსენებაში „საზღვაო გარემოსდაცვითი მონიტორინგის და თევზის მარაგებისა და არათევზეული რესურსების შეფასების ტექნოლოგიური ინოვაციების ინვენტარიზაცია“.



შემდგომ პროექტში

TIMMOD-ის ფარგლებში დაგეგმილი ჯგუფური აქტივობების განხორციელება შემუშავებული გეგმის შესაბამისად, TIMMOD-ის პარტნიორების ერთობლივი ძალისხმევით. 2021 წლის ბოლოსთვის, ეს ძალისხმევა იქნება მიმართული:

- საზღვაო მონიტორინგის ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებზე მიმართულ პირველ და მე-2 საპილოტე სადემონსტრაციო პროექტების ორგანიზებაზე ვარნაში (2021 წლის ივნისი/ივლისი) და ბათუმში (2021 წლის სექტემბერი/ ოქტომბერი);
- საქართველოში და ბულგარეთში მე-2 და მე-3 თემატური ტრანსსასაზღვრო შეხვედრების ორგანიზებაზე;
- 2021 წლის მე-4 კვარტალში შემდგომი ტექნიკური ანგარიშების დასრულებაზე:
 - შავ ზღვაზე შესაბამისი ტექნოლოგიური ინოვაციების და საუკეთესო პრაქტიკის მიღების შესახებ რეკომენდაციები;
 - ვებ-ზე დაფუძნებული ღია GIS ინსტრუმენტი, დაინტერესებული მხარეებისა და საბოლოო მომხმარებლების მიერ მოდელირებული მონაცემების განსახორციელებლად, მათ შორის ჰიდროლოგიური გარემოსდაცვითი მონიტორინგის მონაცემთა ბაზა, მოდელირების შედეგები და სამომავლო გეგმები
 - ინოვაციური სტრატეგიის დრაფტი, მეთევზეობის სფეროში MSFD და DCF შესაბამისად, ერთობლივი მონიტორინგის, მონაცემთა გაზიარების და ინფორმაციის ტრანსსასაზღვრო გაცვლის სისტემების გასაუმჯობესებლად.



TIMMOD საპილოტე სადემონსტრაციო პროექტებისა და თემატური ტრანსსასაზღვრო შეხვედრების დასრულების შემდეგ მივაღწევთ პროექტის ერთ - ერთ მთავარ შედეგს: ცნობიერების ამაღლება და რეგიონალური თანამშრომლობის გაუმჯობესება კვლევითი და განვითარების ორგანიზაციების საზღვაო მონიტორინგის ტექნოლოგიურ ინოვაციებში შავი ზღვის თევზის მარაგისა და არათევზეული რესურსების შესაფასებლად.



TIMMOD მედია

პროექტის ვებ გვერდი

TIMMOD პროექტის ვებ – გვერდზე შეგიძლიათ იხილოთ მრავალფეროვანი და განახლებული ინფორმაცია ყველა საქმიანობისა და ღონისძიების შესახებ. გვეწვიეთ: www.timmod.org.

ელექტრონული ბიულეტენი

პროექტის სარეკლამო ღონისძიებების ფარგლებში, პროექტის განხორციელების დროს დაგეგმილია ექვსი ელექტრონული ბიულეტენი. ელექტრონული ბიულეტენის გავრცელება პროექტის დაინტერესებულ მხარეებს შორის, შავი ზღვის ქვეყნებში და მის ფარგლებს გარეთ, პროექტის მიმდინარეობის შესახებ მათი ინფორმირების გზაა. პირველი და მეორე ელექტრონული ბიულეტენის გამოცემები უკვე გამოქვეყნდა TIMMOD- ის 1 წლის განმავლობაში და ხელმისაწვდომია ინგლისურ, ბულგარულ, ქართულ, ბერძნულ და რუმინულ ენებზე პროექტის ვებ – გვერდზე.



ლიფლეტები და ბროშურები

პროექტის ძირითადი ინფორმაციის მისაღებად ორი ლიფლეტი და ორი ბროშურა გამოყენებული იქნება აუდიტორიისთვის პროექტის მთავარი და გარე ღონისძიებების დროს.

მოიძიეთ TIMMOD სოციალურ მედიაში



@ Facebook <https://www.facebook.com/TIMMOD-Project>

@ LinkedIn [TIMMOD Innovation Network](https://www.linkedin.com/company/timmod-innovation-network)

@ ResearchGate <https://www.researchgate.net/project/TIMMOD>



დოკუმენტი შექმნა: TIMMOD Project Consortium

რედაქტირება: თევზის რესურსების ინსტიტუტი (IFR) -
ბულგარეთი, და რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი (REC) -
მოლდოვა

ზექცა: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო, თბილისი,
საქართველო

მისამართი: დ. აღმაშენებლის გამზ.150, 0112 თბილისი,
საქართველო

ტელ:+995 32 2439503/+995 32 2439510

E-mail: info@nea.gov.ge

Website: <http://nea.gov.ge/>

გამოქვეყნებულია: მაისი 2021

© 2020 პროექტი TIMMOD-ის კონსორციუმში

შავი ზღვის აუზის 2014-2020 წწ. ერთობლივი საოპერაციო პროგრამა თანადაფინანსებულია ევროკავშირის მიერ ევროპული
სამეზობლო ინსტრუმენტის მეშვეობით და შემდგომი ქვეყნების მონაწილეობით: სომხეთი, ბულგარეთი, საქართველო,
საბერძნეთი, მოლდოვა რესპუბლიკა, რუმინეთი, თურქეთი და უკრაინა.

ეს პუბლიკაცია მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური დახმარებით. ამ პუბლიკაციის შინაარსი არის
სრულყოფილად პროექტი TIMMOD-ის პასუხისმგებლობა და არ ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.